ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
2018 წლის 29 მარტის
№60/01-01 ბრძანების
დანართი N1

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის (პროფესიული განათლების მასწავლებელი) შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერისტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის (პროფესიული განათლების მასწავლებელი) შერჩევის წესის (შემდგომში - ,,წესი“) მიზანია დაადგინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევისა და პროფესიული განათლების მასწავლებლად დასაქმების კრიტერიუმები და პროცედურა.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის კრიტერიუმები

1. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის დასაქმების პროცედურა

1. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებელის შერჩევას, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შრომით ბაზარზე არსებული შესაბამისი მონაცემების კვლევის მეშვეობით, ახორციელებს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პერსონალის ავტობიოგრაფიისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პროცედურის განხორციელების შედეგად გამოვლენილი პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატებს სათანადო დასაბუთებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც წარდგენილი კანდიდატებისათვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით წარუდგენს შუამდგომლობას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატებთან მოქმედი

კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.